ცნობის ფურცელი

№ 2600 ხუთშაბათი, 2 სექტემბერი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2600

ეთი ღირს: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატე- კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

სამშაბათს, 7 სექტემბერს, სოფელ ნაჯიხევში (ზუგდ. მაზრა), გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

ვერა ნიკოლოზის ასულის ჯორჯიკიას

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებულის მეუღლე **სპირიდონ ბესარიონის ძე ჯორჯიკია** შვილებითურთ. (ნ. 1—1)

ფოთის საბუხჰალტერო კურსები

(წელიწადი მეხუთე)

სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან და გრძელდება ერთი წელი და ორი თვე. კურსებზე ღებულობენ როგორც ვაჟებს, ისე ქალებს. ასწავლიან: 1) საერთო ბუხჰალტერიას ტივი და ორკეცი სისტემისა. 2) სპეციალურ ბუხჰალტერიას სხვა-და-სხვა დაწესებულებათა: ბანკების, ქარხნების, აქციონერულ საზოგადოებების, დიდ მაღაზიებია და სხვათა ა. ვართა. 3) სავაჭრო არითმეტიკას. 4) სავაჭრო ეკონომიას. 5) სავაჭრო გეოგრაფიას. 6) სავაჭრო და სათამასუქო კანონებს. 7) სავაჭრო მიწერ-მოწერას და 8) კალიგრაფიას.

კურსების დამაარსებელი **კ. გიგინეიშვილი**.

მსურველთ პროგრამებს უგზავნის უფასოდ. (25—6.—21)

ტფილისის

ქერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. ილ. და კანისა 11—12 საათამდე.

ტ. მუდინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.

არ. მ. ხოზოლიშხაძე.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. —3 საათამდე.

ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველდღე.

ქალი მ. ქ. იოხელიანი.—ქალისა და სა- ბით, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 11—12 ს.

დ. მ. მონინი.—ქალისა, საშვებით და ბავშვ- (გამოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობ. 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

ა. მ. ხოზოლიშხაძე.—ხირურგია და ორტოპედია. შაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული ბაქტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერ- მორიგებით, კრავატები სამი მანეთიდან ითამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის დიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. ლის ქუჩიდან-კი 34 ნ. (ლ.) **ტელეფონი № 274.**

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

ღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

გადავიდა ბარონის ქუჩაზე № 18, მესხიშვილის ტოგრაფიის ზემოდ. იღებს სიფილისით და ვენეულ სენით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და ღამოს 6—8-მდე. (0—13)

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქ., № 38).

ბრუნდა და იღებს ავადმყოფებს დილის 9—2- სა და საღამოს 5—7 საათამდე. კვირა-უქმობით— —1-დისა და 5—6-მდის.

კბილის ექიმი

კანდელაკი

დაბრუნდა და განაახლა კბილის ავათმყოფთა მიღება. მიხაილოვის პროსპექტი, მანველოვის სახლში, 30. მიიღებს 9—2 ს. და 4—7 ს. (30—293—2)

კბილის ექიმი

ალ. ხოლოლაშვილი

გადავიდა გოლოვინის პროსპექტზე, მდივნის სახლში № 12, „კრუჟოკის" გვერდზე. მიიღებს ავადმყოფებს დილით 10—3 საათამდე, საღამოთი 5—7. რაობით 9—12 საათამდე. (30—6.—2)

ექიმი

გ. ი. ტერ-გრიგორიანცი

შინაგანთა, სპეციალისტი გულის და ბავშვების დმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის —11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 154. ლეფონი № 825. (90—295—2)

პანსიონი

ელისაბედის ქუჩა, № 71. ისარლოვისეული სახლი.

ალექსანდრე გიორგის ძე

მირზაშვილისა.

მიიღებიან ვაჟები საშუალო სასწავლებლებში მესამე კლასამდე მოსამზადებლად და აგრეთვე საზემლემერო სასწავლებელში. (150—218—27)

კულაშის ახლად შემდგარი მშრომელ თავად-აზნაურთა ამხანაგობა „ნ ა დ ი" მართავს საცეკვაო საღამოს 4 ენკენისთვეს ს. კულაშს, თავად ლევან ბესარიონის ძე მიქელაძის სახლში ძირითად თანხის გასაძლიერებლად და სამუშაო იარაღების შესაძენად. მოწვეულია სამხედრო მუსიკა და საზანდარი. (2—1)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ კვირას, 19 ენკენისთვეს 1904 წ. დილის 11 საათზე, ქართული თეატრის ფოიეში დანიშნულია საზოგადოების წევრთა

წლიური კრება.

განსახილველი საგნები:

1. განხილვა და დამტკიცება წარსულის წლის ანგარიშისა.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. არჩევანი გამგეობის შვიდის წევრისა და სამის კანდიდატისა.
4. არჩევანი სარევიზიო კომისიის წევრებისა.
5. არჩევანი საზოგადოების ახალ წევრებისა. (2—1)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

31 აგვისტო

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა, მისს უდიდებულესობას 30 აგვისტოს: „30 აგვისტოს არ მოსულა ამბები არმიაში შეტაკებათა შესახებ. იაპონელებმა მოქმედება შეაჩერეს. სოფ. ბიანიპუს სამხრეთით აღმოჩნდა იაპონელთა საკმაოდ დიდი რაზმი (მუკდენის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 36 ვერსის მანძილზე). ზემოხსენებულს უქვეშევრდომილესად ვაუწყებ თქვენს უდიდებულესობას".

ვაშინგტონი, 30 აგვისტო („რეიტ. სააგ."). ტრანსპორტის „ლენა"-ს სან-ფრანცისკოში მოულოდნელმა მოსვლამ დიდი მღელვარება გამოიწვია ოფიციალურ წრეებში, სადაც არ მოელოდნენ, რომ შეერთებულ შტატებისათვისაც საჭირო გახდებოდა საბოლოო გადაწყვეტილება მებრძოლ სახელმწიფოთა უფლებების შესახებ. სახელმწიფო დეპარტამენტში გამოცხადებულ იქნა: თუმცა ამ ჟამად საქმე სახელმწიფო ხაზინის დეპარტამენტის უწყებაშია, რადგან იგი შინაგან პოლიტიკას ეხება, მაგრამ შესაძლებელი იყო ეს საქმე გარეშე პოლიტიკის საკითხად გამხდარიყო იმ შემთხვევაში, სხვა სახელმწიფოს რომ მიექცია შეერთებულ შტატების ყურადღება ტრანსპორტ „ლენა"-ს მოსვლაზე. სახელმწიფო დეპარტამენტს აღუნიშნეს ის გარემოება, რომ საერთაშორისო უფლებით არავითარი განსხვავება არ არის ტრანსპორტსა და ჯავშნიან გემის შორის. ალბად, მთავრობა მიჰბაძავს საფრანგეთის, გერმანიისა და ჩინეთის მაგალითს და მოითხოვს 24 საათის განმავლობაში „ლენა"-ს წასვლას, თუ „ლენა"-ს შეუძლია გაშლილ ზღვაში გასვლა. „ლენა"-ს ნებას მისცემენ საჭირო ქვა-ნახშირი წაიღოს. მოსალოდნელია, რომ მთავრობა შესაძლებელად არ სცნობს „ლენა"-ს დაბრუნებას პორტ-არტურში ან ვლადივოსტოკში და ნებას მისცემს გემს რუსეთში დაბრუნდეს კონცხის ჰორნის გზით. თუ „ლენა"-ს შეკეთება სჭირდება, მთავრობის ექსპერტები გამოარკვევენ გემის წასვლის ვადას. აქ ჰფიქრობენ, „ლენა"-ს ომის დასრულებამდის გააჩერებენ სან-ფრანცისკოშიო.

ვაშინგტონი, 30 აგვისტო („რეიტ. სააგ."). იაპონიის მთავრობამ სან-ფრანცისკოში მყოფ კონსულის საშუალებით გამოუცხადა შეერთებულ შტატებს პროტესტი და დაჟინებით ითხოვს: აუკრძალონ „ლენა"-ს 24 საათზე მეტი ნავთ-სადგურში გაჩერება. ორთქლის ქვაბების ოფიციალურ ინსპექტორებს მოუვიდათ განკარგულება, დაწვრილებით დაათვალიერონ „ლენა". ნავთ-სადგურის უფროსმა გადასწყვიტა, არ მისცეს ნება იაპონელთ, გემი „ლენა" გასინჯონ, და განაცხადა, რომ ეს საქმე შეეხება მხოლოდ რუსეთსა და შეერთებულ შტატებს. შტატები სხვების დაუხმარებლად გადასწყვეტენ ამ საქმესაო. იაპონიის კონსულის თხოვნა და უკმაყოფილება უყურადღებოდ იქნება დატოვებული.

ოისტერბაი. (შეერთებ. შტატები), 31 აგვისტო, („რეიტ. სააგ."). არავითარ უკმაყოფილებას არ ელიან „ლენა"-ს ინციდენტის გამო.

ლიაოიანი, 25 აგვისტო („რეიტ. სააგენტო"). იაპონელთა მეორე არმიასთან მყოფ კორესპონდენტის მიერ გამოგზავნილი ამბავი: იაპონელთა ცდამ კუროპატკინის გარს შემოსავლელად უნაყოფოდ ჩაიარა. იაპონელებმა დიდად გაიმარჯვეს ლიაოიანთან, მაგრამ ბოლოს ვერაფერი მოიგეს, რადგან მხოლოდ ქალაქი ჩაიგდეს ხელში. ოკუსა და ნოძუს არმიები ჩინებულად იბრძოდნენ, უკუაგდეს რუსები პოზიციებიდან, მაგრამ კუროკიმ ვერ შემოუარა რუსის ჯარს, კუროპატკინი შუაში ვერ მოიმწყვდია და უკანასკნელმა სრულის წესით უკან დაწევა შესძლო. ოკუ მიუახლოვდა რუსებს აშანჯანსიან 13 აგვისტოს და 4 დღის განმავლობაში ზურგის ჯარის ბრძოლა გაიმართა. 18 აგვისტოს მიუახლოვდა რუსების კარგად გამაგრებულ პოზიციებს სუშანპუს მთებში, ლიაოიანის სამხრეთით, 8 მილის მანძილზე. 17 და 18 აგვისტოს ზურგის ჯარის გამწვავებული საარტილერო ბრძოლა იყო. იაპონელებს ჰქონდათ 200 ზარბაზანი. 18 აგვისტოს შუადღეზე იაპონელებმა დაიჭირეს სანგრების პირველი რიგი, რუსების მემარცხენე ფრთეზე, მას შემდეგ, რაც ამ ადგილებს იაპონელთა მთელმა არტილერიამ დაუშინა ზარბაზნები. იაპონელებმა შეინარჩუნეს პოზიცია, თუმცა რუსებმა მძლავრად დაუშინეს ზარბაზნები. ღამე იაპონელები თავს დაესხნენ რუსების ყველა პოზიციებს და დაიჭირეს გორაკები მარცხენა ფრთეზე. გაცხარებული ბრძოლა მოხდა. სანგრები გაი ერთმანეთში არეულ მოკლულთა გვამებით. რუსის მარჯვენა ფრთეს დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევია და სრულის წესით დაიწია უკან. რუსების საგერ პოზიციების მეორე რიგი დიდ ვაკეზე იყო გამართული, სადაც ისინი მედგრად დაუხვდნენ მტერს და სამი დღის განმავლობაში შეაჩერეს იაპონელთა წინსვლა. ეს ადგილი კარგ სიმაგრეებითა და სანგრებით იყო გამაგრებული. იაპონელებმა პირველი იერიში მიიტანეს 19 აგვისტოს, ღამე, მაგრამ უკუ-გდებულ იქმნენ. 20 აგვისტოს მათი იერიში ნაყოფიერი იყო, თუმცა დიდად დაზარალდნენ. ზოგიერთ ადგილებზე მათმა ზარალმა 90%-ს მიაღწია. იაპონელთა გამარჯვებამ აიძულა რუსები, უკანასკნელ საგერ-პოზიციებისაკენ ლიაოიანის კედლებთან დაწეულიყვნენ.

ტოკიო, 30 აგვისტო („რეიტ. სააგ."). მოვიდა ოიამას მოხსენება. ამ მოხსენებაში აღნიშნულია ის, თუ როგორ იყო დარაზმული რუსის ჯარი ინტაისა და მუკდენთან. რუსის ცხენოსანთა დიდი რაზმი პინტაიძისთან იყო, ინტაის სადგურის აღმოსავლეთით, 24 ვერსის მანძილზე; მეორე რაზმს ეჭირა ხეილინგჩაი, პინტაიძის ჩრდილოეთით, ფუხაოს გზაზე. რუსის ცხენოსანთა რაზმები შენიშნეს აგრეთვე ხუანშენტინთან, მუკდენის გზაზე და გუმანზუს მიდამოებში, რომელიც იაპონელებს ეჭირათ. ამას გარდა ცხენოსანთა რაზმები არიან ბანძიატუნსა, კუშუძუსა და მენსუკუტუნში, რკინის გზის ლიანდაგის გაყოლებაზე, ინტაისა და მუკდენს შუა. მანჯურიის ჯარიდან გამოგზავნილ მეორე დეპეშაში აწერილია ის გაჭირვება, რომელშიაც ლიაოიანის მშვიდობიანი მცხოვრებნი ჩავარდნენ. ამ მცხოვრებთაგან ბევრი მოიკლა და დაიჭრა იმ დროს, როდესაც რუსები ლიაოიანის გალავანთან სიმაგრეებს იცავდნენ. რუსები უკრძალავდნენ მშვიდობიან მცხოვრებთ ქალაქიდან წასვლას. ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ მოქალაქენი დაიჭრნენ და დაიხოცნენ ჩვენის ყუმბარებისა და ტყვიისაგან, მაგრამ პასუხის მგებელნი ამისთვის რუსები არიან. მესამე მოხსენებაში იმ სამხედრო მასალაზეა ლაპარაკი, რომელიც რუსებს დარჩათ ლიაოიანში. აღმოჩნდა თურმე დუმ-დუმის ტყვიები, ამასთან ორგვარი. ერთგვარი ტყვია ძალიან ჰგავს რუსის თოფის 1891 წლის ტყვიას, მაგრამ ამ თოფს ეს ტყვია სულ არ უდგება. დავუწყეთ ამ ტყვიის თოფებს ძებნა, მაგრამ ვერსად ვერ ვიპოვნეთ. ჩვენი ჯარის-კაცები ძალიან არიან დაჭრილნი, როგორც ეტყობა, დუმ-დუმის ტყვიებით, თუმცა თვით ტყვია ვერსად ამოვაჩინეთ. ფოტოგრაფიულ სურათებსა და საბუთის ქაღალდებს ამ საქმის შესახებ შემდეგ გამოვგზავნით.

ლიაოიანი, 23 აგვისტო („რეიტ. სააგენტო"). კუროკის ჯარში მყოფ „დეილი ტელეგრაფის" კორესპონდენტის მიერ გამოგზავნილი ცნობა: „გამარჯვება კუროკისა, რომელიც წავიდა რუსის ჯარის ზურგიდან მოსავლელად, დამოკიდებული იყო იმაზე, თუ ვინ დაიჭერდა ხაიენტაის გორას. გორის ფერდობებზე მოხდა საშინელი, სისხლის მღვრელი ბრძოლა, ისეთი, როგორიც ამ ომში ჯერ არ მომხდარა. კუროკის ჯარმა იერიში მიიტანა და ღამე, ხიშტებით ბრძოლის შემდეგ, ეს გორა აიღო. მეორე დღეს რუსებმა სეტყვასავით დააყარეს ყუმბარები ფერდობის გაშლილ ადგილებს, მაგრამ იაპონელები მეტად მხნედ იცავდნენ პოზიციას. ამ ღამეს ორივე მხარემ გადასწყვიტა იერიშის მიტანა: იაპონელებს უნდოდათ ხელთ ჩაეგდოთ რუსის ბატარეა, ხოლო რუსებს იმედი ჰქონდათ, ხაიენტაის დაებრუნებინათ. მაგრამ არც ერთის მოლოდინი არ გამართლდა. რუსები ძალიან მამაცად ეცნენ გორის ფერდობებს, თითქმის მივიდნენ კიდეც წვერამდე, მაგრამ იაპონე ტყვია და ხიშტები უკუ-აგდებდა ყვე

ბოლოს რუსები იძულებულნი გახდნენ საოცარის ზარალით უკან დაბრუნებულიყვნენ. რუსებმა ელექტრონის პროჟექტორების მეოხებით გამოარკვიეს განზრახვა იაპონელებისა, რომელთაც უნდოდათ რუსებისათვის ბატარეის წართმევა. პროჟექტორების წყალობით რუსებმა გაიგეს, რა ადგილები ეჭირათ იაპონელებს, ამის გამო ბევრი იაპონელი დაიღუპა. ერთი ბატალიონი სრულიად განადგურდა. არ შეიძლება ითქვას, რომ იაპონელნი უკუ-გდებულ იქნენო, რადგან იაპონელი სალდათები ბლომად იხოცებოდნენ რუსის ზარბაზნებთან და გამქცევი აღარავინ იყო. დილით ორივე ჯარს ის პოზიციები ეჭირა, რაც წინა ღამეს. მთელი დღე ხაიენტაისთან მყოფ იაპონელებს დიდი ზარალი მოსდიოდათ, მაგრამ თავი მაინც არ მიუნებებიათ გორისთვის, რომლის ფერდობებიც შეფენილი იყო მოკლულებითა და სასიკვდილოდ დაჭრილებით. მე ხაინტაიზე ავედი, როცა იაპონიის ჯარი წინ გაეშურა. არასოდეს არ მინახავს ამაზე საზარელი სურათი: მოკლულთა გვამებით სავსე იყო ფერდობები; ისე ვერ გაივლიდით, რომ ფეხი არ დაგედგათ მკვდრისთვის. ყველგან გორაზე ზარბაზნების ნამტვრევებია და ორივე ჯარის ტანისამოსის ნაფლეთები. საშინელი სანახავი იყო მრავლად გაფანტული ხიშტები, დასისხლიანებული, დამტვრეული და მოკაკვილი. ამ პატარა გორაკის აღება და შენარჩუნება დაჯდა 3,000 მოკლულ და დაჭრილ კაცად“.

ნიუ-იორკი, 31 აგვისტო („რეიტ. სააგ.“). „ტრიბუნა“-ში დაბეჭდილია სან-ფრანცისკოდან მიღებული დეპეშა, რომ დიდ ოკეანეს ესკადრის ინჟინერმა, ადმირალის ბრძანებით, გასინჯა „ლენა“-ს ქვაბები. ქვაბები კარგ მდგომარეობაში არ აღმოჩნდა. „ლენა“-ს შეეძლო საათში 17 ვერსის გავლა, მაგრამ გემი იმდენად არ არის შეკეთებული, რომ ქარიშხალს გაუძლოს. მოხსენება დეპეშით ვაშინგტონში გაიგზავნა. უთუოდ „ლენა“-ს ნება მიეცემა, შეკეთდეს სან-ფრანცისკოში. ინჟინერს გაკვრით უთქვამს, ქვაბები გაფუჭდა იმიტომ, რომ იმაზე მეტად გაახურეს, ვიდრე გემს შეეძლო ატანაო.

სან-ფრანცისკო, 21 აგვისტო („რეიტ. სააგ.“). იაპონიის მთავრობამ თავის ელჩის მეოხებით პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ „ლენა“ 24 საათზე მეტ ხანს დარჩა სან-ფრანცისკოში. ვაშინგტონის მთავრობამ მოითხოვა ცნობები იმის შესახებ, თუ როდის მოვიდა გემი, რა მდგომარეობაშია ქვაბები და ტრიუმი, რომ ამ ცნობების თანახმად საქმე გადასწყვიტოს. სან-ფრანცისკოს ნავთსადგურის უფროსმა განაცხადა, იაპონიის წარმომადგენელთ ნებას არ მივცემ „ლენა“ გასინჯონო. საქმე მარტო შეერთებულ შტატებსა და რუსებს შეეხება და ესენივე გადასწყვეტენ საქმეს.

სან-ფრანცისკო, 31 აგვისტო. დღეს დილას ამერიკის კონტრ-ნაღმიანი გემი „პოლ ჯონს“-ი და კრეისერის „მარლეჰა“-ს ნავი რუსის სატრანსპორტო ნავის „ლენა“-ს გვერდით გაჩერდნენ, რათა დაიფარონ იგი და დაიცვან ნეიტრალიტეტი.

ლიაოიანი, 22 აგვისტო („რეიტ. სააგ.“). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტის დეპეშა კუროკის ჯარის ბინიდან: „ეჭვს გარეშეა, რომ კუროპატკინს იმედი ჰქონდა იაპონელების დამარცხებისა ლიაოიანთან. ლიაოიანი ისე ჰქონდათ რუსებს გამაგრებული, რომ, ცხადია, უკანასკნელ კვირეებში კუროპატკინი უკან დაწევაზე აღარ ჰფიქრობდა, არამედ დიდ ბრძოლისთვის ემზადებოდა“.

ტოკიო. 21 აგვისტოს, ღამე, ხუთის დღის განმავლობაში განუწყვეტლად ბრძოლის შემდეგ, რუსებმა უკან დაწევა დაიწყეს. მიუხედავად იმისა, რომ კუროპატკინს, წყალდიდობისა გამო, თითქმის გაუვალი მდინარე დახვდა წინ, რუსებმა მაინც მოახერხეს და ისე დაიწიეს უკან, რომ ერთი ზარბაზანიც არ დაუკარგავთ. ამ ბრძოლას შედეგად ის მოჰყვა, რომ იაპონელებმა უკეთესი აზრი შეადგინეს რუსებზე, ვიდრე იალუსთან ბრძოლის შემდეგ ჰქონდათ. ამ ჟამად იაპონიის ჯარი წყნარად არის და ჯერ მოქმედებას არ იწყებს. გამარჯვების გამო სიხარულსაც არ ეძლევიან. რუსების მზადება დიდი იყო, მდინარის სამხრეთით აგებულ სიმაგრეების გარდა, რუსებს მოეწყოთ სამი რიგი სიმაგრეებისა, რათა რკინის გზა დაეფარათ აღმოსავლეთის მხრიდან. საშინელი ბრძოლა ატყდა და კარგა ხანს გაგრძელდა რკინის გზასთან. იაპონელები 24 აგვისტოსაც ესროდნენ ზარბაზნებს რუსების უკანასკნელს მატარებელს, მაგრამ უკანა ჯარს გზა ვერ მოუჭრეს. ბრძოლის ველი, მდინარის ჩრდილოეთით, დღესაც საზარელი სანახავია: აქა-იქ მოსჩანან სანგრები, რომლებიც ავსილია მოკლულებით; იაპონელებს ჯერაც არ გაუთავებიათ იმათი დაწვა. ყოველ ნაბიჯზე რუსების სასაფლაოებია; მარტო ერთ გორაკზე 200—300 საფლავია; ბევრი მოკლული რუსი გაოლიანშია. რკინის გზის ის ნაწილი, რომელიც იაპონელებმა ჩაიგდეს ხელში, თითქმის სრულიად გაუფუჭებელია; სულ ცოტა შეკეთება დასჭირდება. ლიაოიანის სადგური სრულიად არ დაზიანებულა. რუსების სოფელში რამდენიმე სახლი გადამწვარა. ჩინელებმა თავიანთ სახლებზე იაპონიის დროშები აფრიალეს.

პეტერბურგი, 28 აგვისტო. საზღვაო უმთავრესი შტაბი აცხადებს, რომ ნაღმიან გემ „რეშიტელნი“-ზე 30 ივლისს მოკლულ იქმნენ: მენაღმე დიმიტრი ვოლოვიჩი და კაჩეგარი ივანე ცირბილოვი.

პეტერბურგი. გერმანიის მთავრობა საყოველთაოდ აცხადებს: გერმანიის ესკადრის უფროსი ცინდაოში 10 ათას მარკას ჰპირდება იმას, ვინც მიაწვდის ცნობას იმის შესახებ, თუ სად იმყოფება გერმანიის საზღვაო აგენტი კაპიტან-ლეიტენანტი ჰეიშელიონ-გილგენჰეიმბი.

პარიზი, 30 აგვისტო. ხმა არის, რომ რუსეთის ელჩმა პეკინში ბრძანება მიიღო, ჩინეთის მთავრობას სერიოზული პროტესტი გამოუცხადოს, თუ გამართლდა ის ამბავი, რომ იაპონელთა ორ დივიზიას მუკდენის ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ დაუჭირავს სანეიტრალო ტერიტორიაზე მდებარე ქალაქი სინმინტინი; ცხადია, ამ ორ დივიზიას განზრახვა აქვს რუსების ჯარებს შემოუაროს.

1 სექტემბერი

პეტერბურგი, 31 აგვისტო („რეიტ. სააგ.“) რეიტ. სააგენტოს კორესპონდენტი ლიაოიანიდან 26 აგვისტოს შემდეგ დეპეშას ჰგზავნის: იშვიათ მოვლენას წარმოადგენს ქალაქის გაძარცვა, რაიცა იაპონიის სამმა არმიამ ჩაიდინა ლიაოიანში. როცა რუსებმა დაიპყრეს ლიაოიანი, რუსების ქალაქების გეგმაზე ააშენეს საუცხოვო ქალაქი; სანამ უკან დაიწევდა, რუსის ჯარმა დასწვა სურსათ-სანოვაგისა და სხვა-და-სხვა საქონლის საწყობები, რათა იაპონელებს არ ჩაეგდოთ ხელში. როცა რუსები წავიდნენ, სანამ ქალაქში იაპონელები შემოვიდოდნენ, ჩინელმა სალდათებმა პოლიციასთან ერთად დაიწყეს ქალაქის ძარცვა. შემოსულმა იაპონელებმა დაასრულეს ქალაქის გაძარცვა. იაპონიის ჯარს ხუთი დღის განმავლობაში არაფერი უჭამია და ისე იბრძოდა, მხოლოდ მშრალი ბრინჯით იკვებებოდა. ამიტომ, როცა ქალაქში შევიდა, მაშინვე საჭმელს დაუწყო ძებნა. რადგან საწყობები უკვე განადგურებული იყო, იაპონელებმა კერძო ბინები გაჩხრიკეს. ამ ომში ეს პირველი შემთხვევაა, რომ იაპონელებმა აღებული ქალაქი გაძარცვეს. იაპონელი აფიცრები მეტად დაალონა ამ შემთხვევამ და იძულებული შეიქმნენ ჯარი ქალაქს გარედ გაეყვანათ. ჯარის კაცებს აეკრძალათ ნებადაურთველად ქალაქში შესვლა. ჩინელთა უბანში სანოვაგის ნაკლებობაა.

ვაშინგტონი, 31 აგვისტო („რეიტ. სააგ.“). მოხსენებაში „ლენა“-ს მდგომარეობის შესახებ ადმირალი გუდრიჩი იუწყება, რომ ექსპერტების აზრით, ქვაბებისა და მანქანების დროებითი შეკეთება 6 კვირას მოითხოვს. დილას საზღვაო უწყების და სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებს ბჭობა ჰქონდათ ამ საკითხის შესახებ. მიღებულ ცნობებით, ნებას მისცემენ დროებით შეაკეთონ გემი. მოხელეთა თათბირზე „ლენა“-ს შესახებ გამოითქვა აზრი, რომ ნება უნდა მისცენ დროებით შეაკეთონ გემი; ამავე დროს გამოაცხადეს, რომ საბჭომ დაადგინა, სავაჭრო დეპარტამენტს გადასცეს ეს საკითხი საბოლოოდ გადასაწყვეტად, რადგან ეს დეპარტამენტი განაგებს ნეიტრალიტეტის შესახებ საქმეებს. ვაშინგტონში მყოფმა რუსეთის ელჩმა რუსეთის გემის მოსვლის გამო ოფიციალურად აცნობა სახელმწიფო დეპარტამენტს, აგრეთვე არაფერი აქვს სათქმელი იმის წინააღმდეგ, რომ რუსის გემი ნავთსადგურში სდგას, არ ითხოვს, გემი წავიდეს და გადაწყვეტილი აქვს, გამოუცხადოს ამერიკის მოხელეთ, რომ სრულიად ანდობს ამ საკითხის გადაწყვეტას შეერთებულ შტატებს, თვითონ კი საქმეში არ გაერევა.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. პეტერბურგში სამხედრო ცენზურის ბიურომ გამოაცხადა: ის ხმა, ვითომ გენ. კუროპატკინი დაჭრილი იყოს, არაფერზე არაა დაფუძნებული, არაფრით არა მტკიცდება, და ცხადია, ბოროტ-განმზრახველ პირების შეთხზულია.

„ნიუ-იორკ ჰერალდ“-ს დეპეშით ატყობინებენ ვაშინგტონიდან: ამერიკის წარჩინებული სახელმწიფო კაცები ჰფიქრობენ, იქნება პორტ-არტურის აღების შემდეგ, დიდი სახელმწიფოები რუსეთისა და იაპონიის შერიგებას ეცადნენო. მაგრამ რუსეთი ბეჯითად აცხადებს, არავის შუამავლობას არ დავსთანხმდები და ამას იქით უფრო მედგრად ვიბრძოლებ, ვიდრე აქამდე ვიბრძოდი.

„ლოკალ ანცაიგერი“ სწერს: რუსის ჯარი დღესაც უკან იხევს და, ვინ იცის, როდის შეიძლებს სამხრეთისაკენ გალაშქრებას და იაპონელებზე იერიშის მიტანას. იაპონელები დღემდე უცილობლად ბატონობენ ზღვაში; პორტ-არტურიც მალე იქნება აღებულიო. („რ.“).

ფრანგული გაზ. „რაპელ“-ს დეპეშით ატყობინებენ სეულიდან: იაპონელებმა პოსიეტის ბუხტაში კარგა ჯარი გადაიყვანეს. ამბობენ, ვითომ ეს ჯარი ვლადივასტოკისაკენ გაილაშქრებსო. პოსიეტის ბუხტა 100 ვერსტის მანძილზეა ვლადივასტოკიდან, სამხრეთ მხარეს. („ბ. ვ.“).

„სტანდარდ“-ს ატყობინებენ: იაპონელებმა ჩაძირული რუსის კრეისერი „ნოვიკი“ გასინჯეს და დარწმუნდნენ, „ნოვიკი“ ისეა დაზიანებული, რომ ამოღებად არა ჰღირსო. („ბ. ვ.“).

11 ივლისს იაპონელებს რუსის ნაღმიანი გემი „ლეიტენანტ ბურაკოვი“ ჩაუძირავთ

ფელეტონი

ფიზიოლოგოსთა მეექვსე საერთაშორისო კონგრესი

დღეს, 17/30 აგვისტოს, ქალაქ ბრიუსელში, დაიწყო ფიზიოლოგოსთა კონგრესი. კონგრესისტებს მასპინძლობს კოპწია და მოხდენილი სოლვეის ინსტიტუტი, მყუდრო და მშვენიერ ლეოპოლდის პარკში აგებული.

სასიამოვნო სანახავნი არიან ეს ყოველ მხრიდან მოსული მეცნიერნი, რომელნიც, ერთის აზრით გატაცებულნი, მეგობრულად ერთმანეთს ხელს აწვდიან საერთო კაცობრიობის შრომაში; რომელთა სახეზედაც ისე მძლავრადაა აღბეჭდილი მშვიდობიანობა და კაცთ-მოყვარეობა, თითქო ჩვენი ცხოვრების შური-ქიშპობა, ძარცვა და გლეჯა მათ არსებას თავის დღეში არ მიჰკარებოდეს.

ერთნაირ შრომას, ერთნაირ ცხოვრებას ყველას სახეზე თითქო ერთნაირი ბეჭედი დაუსვამს. აგერ კემბრიჯიდან ჩამოსულნი მედიდურ და მძლავრ ინგლისის ერის წარმომადგენელნი მოწიწებით უზიარებენ კრებას თავიანთ ხანგრძლივ შრომის გამოკვლევას და ვინ იფიქრებს, რომ ამ მეცნიერებს საერთო რამ ჰქონდეთ იმ „იანკის“ ტიპთან რომელსაც ისე ხშირად იხსენიებენ ევროპის ჟურნალ-გაზეთობაში. აგერ, მეორე კუთხეში, სკამზე, მოკუნტული ზის პატარა, [illegible] ფერმკრთალი კაცი, რომელიც სათუა- [illegible] მშვიდობიანად გამოიცქირება, თით- [illegible]ს მღელვარება თავის დღეში არ [illegible] ეს ადამიანი იმ დროის წარმომადგენელია, რომლის მამაცობა და მხედრობა დღეს მთელს ევროპას აკვირვებს? ეს არის ახალგაზრდა იაპონელი მეცნიერი ნაგაი, საგანგებოდ ტოკიოდან ჩამოსული. „Beitrage zur physiologie des Flimmerbewegnug“, დაიწყო იმან გერმანულად და მე-კი ამ დროს თავში მიტრიალებდა ტოგოს, კუროკის, ოკუს და ნოძუს სახელები; წარმოვიდგინე იაპონელების იერიშის მიტანა „ბანზაის“ ყვირილით და არ ვიცი, ამ დროს მე უფრო ახლოს ვიყავი იაპონელებთან, თუ ეს მშვიდობიან სახის იაპონელი მეცნიერი, ბ-ნი ნაგაი.

იაპონელების მოგონებაზე უნებლიედ გამახსენდა რუსეთი,—რუსეთის წარმომადგენელიც ხომ უნდა ყოფილიყო. დავიწყე დარბაზში თვალიერება, რათა დამენახა და დავრწმუნებულიყავ, რომ იმის სახეზედაც იმავ მშვიდობიანობის გამომეტყველობას დავინახავდი. ამ დროს ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთმა წარმოსადეგმა და მშვენიერ სახის ადამიანმა. თუმცა წვერ-ულვაში და გრძელი გადავარცხნილი თმა ჭაღარას ცოტა აეჭრელებინა, მაგრამ სამაგიეროდ იმის კუპრსავით შავ ცეცხლს თვალებს ბევრი ახალგაზრდა შენატრებდა. თვალი ვერ მოვაშორებინა, თითქო მეცნობოდა, თითქო სადღაც მენახა, თითქო ეს ტიპი უცხო არ იყო ჩემთვის...

„უკაცრავად, ბატონო, იმ კაცს ხომ არ იცნობთ?“—დავეკითხე ჩემ მეზობელს.

„განა არ იცით?! ეგ რუსის გამოჩენილი პროფესორი თარხნოვია!“ —მიპასუხა მეზობელმა.

„თარხნოვი! როგორ არა, ვიცნობ... გამო[illegible] ბევრი გამიგონია“,—მივუგე შერცხვე[illegible] მშვენიერ სახეს, ჭ[illegible] მართლაც, სახე ნამდვილ თარხნიშვილისა ჰქონდა. მესიამოვნებოდა იმისი ყურება; თან გული როგორღაც ნაღვლიანად შემექნა.

ამ ნაღვლიან ფიქრში ვიყავ, როდესაც კრების თავმჯდომარემ მამართა კრებას თხოვნით მოუსმინა ახალ-გაზრდა ქალის ბარბარე ყიფიანის მოხსენება.

ღმერთო ჩემო! ნუ თუ ამ დღესაც მოვესწარ, რომ მეცნიერთა კონგრესზე ქართველ ქალის ხმასაც გავიგონებდი! სახეზე ჩარჩენილი შეიქმნა, ყველა დაინტერესებული შესცქეროდა ახალგაზრდა მოხდენილ ქალს, რომელიც აღელვებულის, ფერმკრთალის სახით კათედრაზე ადიოდა. გულმა საშინლად კანკალი დამიწყო; მეშინოდა, ახალგაზრდა ქალს გული არ შეფერხებოდა, ენა არ დაბმოდა. ხუმრობა იყო განა ამოდენა კრებაში და ამისთანა ხალხის წინაშე სიტყვის წარმოთქმა! მოუთმენლად მოვუბრუნდი ჩემ მეზობელს და ისე, სიტყვის მასალად დავეკითხე:

„თუ იცით, ეს ქალი სადაურია მეთქი“? „Ah, c'est une géorgienne,“—და დარწმუნებული, რომ მე არ მეცოდინებოდა ამ ხალხის არსებობა, მოკლედ მომითხრო ქართველთა ვინაობა. მეც თავს ვუქნევდი, ვითომ ახალს ამბავს ვისმენდი, და იან გულის კანკალით ველოდი ქართველ ქალის პირველი ხმის გაგონებას.

„Jnfluence du sucre sur lergogramme“ ეს იყო სათაური იმ მოხსენებისა, რომელიც ქ-ნმა ბარბარე ყიფიანისამ კრებას წაუკითხა. ჩვენმა ახალ-გაზრდა მკვლევარმა ქალმა, რა აუხსნა კრებას, თუ რა გავლენა ჰქონდა შაქარს სამძრაო ძარღვების მოქმედებაზე, თან თავის გამოკვლევის შედეგები მიუყენა მათემატიკური ფორმულა, რომლითაც ნათლად დაინახეს, თუ რა [illegible] მოქმედობს შაქარი სამძრაო ძარღვებზე. ეტყობოდა, კრება ძალიან დაინტერესა ამ კითხვამ, რადგან ამ საგანმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია საზოგადოებაში. ხანგრძლივ ტაშის ცემით დააჯილდოვეს ჩვენი თანამემამულე და როცა კრებას თვალი მოვავლე, დავინახე, რომ ყველაზე მეტად პროფესორი თარხნიშვილი უკრავდა ტაშს და არ ვიცი რად—მესიამოვნა.

ამით შემეძლო დამემთავრებინა ჩემი შთაბეჭდილებანი კონგრესის შესახებ, მაგრამ უმადურობაში ჩამომერთმეოდა, რომ ქართველ ქალთან ერთად არ მოვიხსენიო მეორე ქალის სახელიც, დიდად პატივცემულ მეცნიერის, ბრუსელის უნივერსიტეტის პროფესორის ქალის იოტეიკოსი. ქ-ნი იოტეიკო ეროვნებით პოლონელია, მეცნიერებაში უკვე კარგად ცნობილი. ჩვენთვის უფრო საინტერესოა ის, რომ ეს პატივცემული ქალი დიდ სიმპატიითა და თან ინტერესით ადევნებს თვალს ჩვენს სამშობლოს ცხოვრებას, განსაკუთრებულ ყურადღებას და მზრუნველობას იჩენს ჩვენ ქართველ მოზარდ თაობისადმი და თუ დღეს პირველად იხსენიებოდა სამეცნიერო ასპარეზზე ქართველ ქალის სახელი, მადლობელი უნდ[illegible]უთ პროფესორის იოტეიკოს ქალისა, რომ[illegible] სწავლის ფულის შეუტანლობის გამო უნ[illegible]ტეტიდან გამორიცხული ბარბარე ყიფიან[illegible] კერძოდ თავის ლაბორატორიაში მიიღო სამუშაოდ. ამის გამო, მგონია, საჭიროა ჩვენმა საზოგადოებამაც იცოდეს, რომ სათავად-აზნაურო ბანკის დამაარსებლის დიმიტრი ყიფიანის შვილი შვილებს უცხოეთში უცხოელნი პატრონობენ და თავად-აზნაურობამ კი მათ უარი უთხრა სტიპენდიაზე. ალბად, ასე ესმის თავად-აზნაურობას მადლის გადახდა და თავის მოვალეობა.

—ლი

ა ნაღმიანი გემი „ბოევოი“ დაუზიანებიათ. რ. ს.“).

ინკოუში რუსებს კანონირ გემ „სივუჩ“-ის რდა, ორი ორთქლით მავალი ნავიც დაუ- ვეთ. („პ. ვ.“).

20 აგვისტოს იაპონელებმა პორტ-არტურის გზაზე რამდენიმე ნავი (ჯონკა) დაიჭირეს სამხედრო და საკვებ სურსათით დატვირთული. ამას გარდა პორტ-არტურიდან 300 ჩინელი კაცი მიდიოდა ჩიფუს 8 ნავით; იაპონელებმა ესენიც დაიჭირეს და დალნიში წაიყვანეს. („მ. ვ.“).

დიდი ბრძოლა ლიაოიანთან. ბ-ნი ნემიროვიჩ-დანჩენკო სწერს „რუსკოე სლოვო“-ს: გენ. კუროპატკინს იმედი ჰქონდა, სწრაფად, მარდად ჩრდილოეთისაკენ გავქანდები და გენ. კუროკის მახეში გავაბამო. ლიაოიანის დასაცველად ტაიძიხეს მარცხენა მხარეს გენ. ზარუბაევის რაზმი დასტოვა, მარჯვენა მხარეს გენ. იანჟულისა. გენ. ბილდერლინგის, სლუჩევსკისა, შტაკელბერგისა, ივანოვისა, სამსონოვისა და მიშჩენკოს რაზმები თან წაიყვანა და დაწვრილებით ბრძანება გასცა, რომელი რაზმი როგორ მოქცეულიყო. რუსის ჯარს ნაბრძანები ჰქონდა, სამი დღის საჭმელი და ყოველნაირი სამზადისი წაიღეთ თანაო. 19 აგვისტოს გენ. კუროკის იანტაის ახლო გენ. ორლოვისათვის პოზიცია წაერთმია. 20 აგვისტოს რუსის ჯარმა იერიში მიიტანა იაპონელებზე და ეს პოზიცია ისევ დაიბრუნა. მაინც 20 აგვისტოს, მთელ დღეს რუსის ჯარი თითქმის ყველგან სძლევდა იაპონელებს. მართალია თითონაც დიდი ზარალი მოსდიოდა, მაგრამ იაპონელებსაც დიდ ზარალს აძლევდა. რუსები კარგ გუნებაზე დადგნენ, გამარჯვების იმედი მიეცათ. სალდათები შტიკით ბრძოლას ნატრობდნენ. როცა გენ. კუროპატკინის უმთავრესმა ჯარმა საკმაოდ წინ წაიწია, გენ. ორლოვის დივიზია იერიშით წავიდა იაპონელებზე. ეს რაზმი რუსის ჯარის მარცხენა ფრთაზე იდგა და იანტაის მაღაროებს იცავდა. რა წამს დივიზია გენ. კუროკის მარჯვენა ფრთას დაეცა, გენ. ორლოვი მაშინვე დასჭრეს, იმის შტაბის უფროსს ცხენი [illegible]. დივიზიამ ვერ შესძლო გულად [illegible]ბთან ბრძოლა, შედრკა და უკან დაიხია [illegible]იდის ზარალით. ამის შემდეგ მთელმა რუსის ჯარმაც უკან დაიხია“.....

ფრანგულ გაზ. „ჟურნალ“-ის კორესპონდენტი სწერს: 20 აგვისტოს დილის 3 საათიდან ახალი მეტად მნიშვნელოვანი ბრძოლა დაიწყო ლიაოიანის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, სადგურ იანტაისა და მდინარე ტაიძიხეს შუა. კუროკი წყალ-გაღმა გავიდა და რუსის ჯარს გზის მოჭრას უპირებდა. ნაშუადღევს იაპონელებმა იანტაის ქვა-ნახშირის მაღაროები ჩაიგდეს ხელში, რკინის გზის ახლო რუსის მარცხენა ფრთამ, ცოტა არ იყოს, უკან დაიხია, მაგრამ რუსის ბატარეებმა შრაპნელით სულ დააცხავეს იანტაის მაღაროები, სადაც იაპონელები გამაგრებას ცდილობდნენ და ბოლოს იაპონელები იძულებულნი იყვნენ, ამ ყუმბარის სეტყვას მოშორებოდნენ. მე რუსის ერთის პოლკის ახლო ვიყავ. ეს პოლკი გამწვავებულ ბრძოლის შემდეგ ისვენებდა და თავის დაჭრილებს იარებს უხვევდა. უცებ პოლკის მარცხენა ფრთაზე თოფის ჭახა-ჭუხი გაისმა. იაპონელებს გვერდიდან მოევლოთ ჩვენთვის. ტყვიას დაჭრილ და შეწუხებულ სალდათებს შუა ზუზუნი გაჰქონდა. დაჭრილები მიწაზე იწვნენ სისხლით შეღებილნი; ზოგიერთი კვნესოდა ტკივილისაგან. კარგა მყოფი სალდათები ყოჩაღად თოფებს ეცნენ და იაპონელებს მედგრად დაუხვდნენ. მაგრამ იაპონელებს რომ ცოტა მეტი ჯარი ჰყოლოდათ, უეჭველია წრეს შემოგვავლებდნენ. ამ წუთში, როცა ამ წერილს ვწერ, გამწვავებული ბრძოლაა 25 ვერსის მანძილზე. („ნ.“).

„ლოკალ ანცაიგერ“-ის მუკდენელი კორესპონდენტი სწერს: 20 აგვისტოს საღამოს [illegible] ლიაოიანში თავიანთ უბანს ცეცხლი უკიდეს. ეს უკან დახევის ნიშანი იყო. [illegible] აგვისტოს დილით გაიგეს, რომ იაპონელების დივიზია ლიაოხეს ველით ზევითკენ მიდიოდა და რუსის მარჯვენა ფრთას გვერდიდან მოვლას უპირებდა. რუსებს შეეშინდათ, ორსავ მხრიდან არ მოგვიარონ და გზა არ მოგვიჭრანო და მაშინვე ლიაოიანი მიატოვეს. როცა რუსის უკანა ჯარი ლიაოიანიდან გამოდიოდა, რკინის გზის ხიდთან გამწვავებული ბრძოლა მოხდა. („ნ. დ.“).

„ნ. ფ. პრესე“-ს ლონდონელი კორესპონდენტი სწერს: ინგლისურ გაზეთებს ატყობინებენ, ვითომ ლიაოიანიდან უკან დახევის დროს გენ. კუროპატკინი მეტად საშიშო ადგილას იდგა და იაპონელებმა ორი ცხენი მოუკლესო. გენ. შტაკელბერგის კორპუსი—26 ათასი კაცი,—სულ მთლად გასწყდა ბრძოლის დროსაო. რუსებმა ლიაოიანი მხოლოდ გამწვავებულ ბრძოლის შემდეგ მიატოვესო. მართალია ქალაქსა და სურსათის საწყობებს რუსებმა ცეცხლი წაუკიდეს, მაგრამ იაპონელებმა მაინც ბევრი სურსათი ჩაიგდეს ხელშიო. დასასრულ ლონდონში ხმა დადის, ვითომ იაპონელებმა ლიაოიანში ორასამდე ზარბაზანი ჩაიგდეს ხელში. ეს ზარბაზნები დაზიანებულია და ბრძოლისათვის აღარ გამოდგებაო. („ნ.“).

„ბერლინერ ტაგებლატ“-ი სწერს: ნათლად არა სჩანს, ლიაოიანთან ბრძოლის დროს რუსის კავალერია რას არიგებდა. ხუთ ცხენოსან დივიზიიდან მხოლოდ სამსონოვის ბრიგადამ გამოიჩინა თავი. 20 აგვისტოს გენ. კუროპატკინმა ციმბირის ყაზახთა დივიზიას ახალი ბრიგადის უფროსები დაუნიშნა. რუსის ცხენოსანმა ჯარმა ვერც მტრის დაზვერვის შნო და უნარი გამოიჩინა. („ნ. ვ.“).

„ბერლინერ ტაგებლატ“-ის ვენელი თანამშრომელი სწერს ლიაოიანის ბრძოლაზე: იაპონელები ძლიერ ეცადნენ, მაგრამ რუსის ჯარს ლიაოიანთან წრე ვერ შემოავლეს, რადგან ამ საქმისათვის საკმაო ჯარი არა ჰყავდათო. თანამშრომლის ანგარიშით, იაპონელებს 250 ათასი კაცი ჰყავდათ ლიაოიანთან, რუსებს 200 ათასი. 250 ათასი კაცი 200 ათასს წრეს ვერ შემოავლებდა და იარაღს ვერ დააყრევინებდა, მით უმეტეს, რომ იაპონელების არტილერიაც ლიაოიანთან რიცხვით ისე როდილა სჭარბობდა რუსისას, როგორც ვაფანგოუსთან სჭარბობდაო. თანამშრომელი ჰფიქრობს, რუსებს ამ ბრძოლის დროს, 11 აგვისტოდან 23 მდე, 32 ათასი კაცი უნდა დაჰკლებოდათ—მოკლული და დაჭრილი, ანუ 16% მთელის ჯარისა. პრუსიის ჯარს 1870 წელს სენ პრივასთან უფრო დიდი ზარალი მოუვიდა, სახელდობ 30%. („პ. ვ.“).

ლიაოიანიდან მუკდენამდე. „რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო თანამშრომელი სწერს: „სამწუხაროდ, რუსის ოფიციალური დეპეშები მეტად მოკლედ იწერება და მეტად ცოტა ცნობას გვაწვდიან; არც რუსის ჯარის უკან დახევის ამბავი ვიცით, არც სამხედრო მოქმედების ვითარება. ამის გამო მრავალი საშიში და ასაღელვებელი ხმები ვრცელდება რუსის საზოგადოებაში. ბევრს ეშინიან, იქნება რუსის ჯარი რა განსაცდელში იყოს ჩავარდნილიო. გენ. კუროპატკინის დეპეშიდან სჩანს, რომ 25 აგვისტოს რუსის ჯარი მდინარე ხუნხეს (მუკდენს ახლო) გაღმა დამდგარა. კერძო დეპეშებიდანაც სჩანს, რომ რუსის უმთავრესი ჯარი 25 აგვისტოს მუკდენში მისულა. ცხადია, გენ. კუროკი ვერ მოსწევია რუსის ჯარს და მდინარე ხუნხეში გასვლა ვერ დაუშლია. ეს ადვილი გასაგებიცაა. 20 აგვისტოს აქეთ მანჯურიაში საშინელი წვიმა მოდიოდა და ყველა გზები, მეტადრე მთებში, სულ წაახდინა. რუსის ჯარი ქვით მოკირწყლულ გზითა და რკინის გზის პირ-პირ მიდიოდა; დაჭრილები, ბარგისა და არტილერიის ნაწილი რკინის გზით გაისტუმრა. იაპონელები-კი გვერდზე მისდევდნენ რუსის ჯარს და უფრო ცუდი გზები ჰქონდათ გასავლელი. რუსის ჯარს მაინც მეტად ჩქარა უვლია. 22 აგვისტოს რუსის არმიის შტაბი ჯერ კიდევ იანტაიში იყო; 23 აგვისტოს სადგურ შახეში ავიდა, 24 მუკდენში, ასე რომ ორ დღეს რუსებმა 42 ვერსი გაიარეს, ესე იგი დღეში 21 ვერსი გაუვლიათ. ყველაზე უკან რუსის კავალერია (120 ესკადრონი), საზღვრის დამცველი რაზმი და გენ. მიშჩენკოს ქვეითა ჯარი მოდიოდა და იაპონელებს აყენებდა. სულ რუსის უკანა ჯარში 20 ათასი კაცი იქნებოდა.

როგორ დაიხია რუსის ჯარმა, დიდი ზარალი მოუვიდა, თუ არა, ამას მხოლოდ მაშინ გავიგებთ, როცა გენ. კუროპატკინის დაწვრილებით ოფიციალურ მოხსენებას გამოაცხადებენ. „მოსკოვსკია ვედომოსტი“-ს კორესპონდენტი იუწყება: ლიაოიანიდან უკან დახევის დროს რუსებმა მხოლოდ ხელ და ხელ გადებული ხიდები დაანგრიეს და დასწვეს, რკინის გზის ხიდის დანგრევა-კი ვერ მოასწრეს, მხოლოდ ხიდზე დაგებულ ფიცრებს წაუკიდეს ცეცხლიო. იაპონელებმა ხელად ჩააქრეს ცეცხლი; ხიდი შეაკეთეს, წყალ გაღმა გამოვიდნენ და რუსის ჯარს დაედევნენ. იგივე კორესპონდენტი სწერს: რუსებმა ლიაოიანში 4 პროვიანტის მაღაზია დასწვესო. ასე რომ ლიაოიანშიაც იგივე ამბავი მომხდარა, რაც ადრე გაიჩოუსა, დაშიჩაოსა და ხაიჩენში მოხდა“.

23 აგვისტოს ნამესტნიკი ალექსეევი მუკდენიდან შახეს სადგურზე ჩავიდა და გენ. კუროპატკინს სამხედრო საქმეებზე მოელაპარაკა. („რ. ვ.“).

პოლკოვნიკი გედკე ატყობინებს „ბერლინერ ტაგებლატ“-ს: გენ. კუროპატკინი 26 აგვისტოს მუკდენს იყო და თავის უმთავრესს ჯარით ჩრდილოეთისაკენ გაემართა, ტელინისაკენ. („რ. ვ.“).

„კენიგ. ცაიტუნგ“-ი იუწყება: გენ. კუროკის მოწინავე ჯარი მუკდენს მიუახლოვდა; გენ. კუროპატკინმა სამი დივიზია გაგზავნა კუროკის წინააღმდეგ. 25 აგვისტოს ბრძოლა დაიწყო; რით გათავდა ეს ბრძოლა, არ ვიცითო. („ნ.“).

„ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტი იუწყება მუკდენიდან: „25 აგვისტო. ნაშუადღევის 2 ს. 36 წ. ყველაფერი დაწყნარდა, მიჩუმდა. რუსის ქარავნები დინჯად მოდიან. სად მოხდება ახალი ბრძოლა, ჯერ არ ვიცით. შეიძლება, ან მანჯურიის სატახტო ქალაქ მუკდენთან, ან უფრო ჩრდილოეთით მოხდეს. რუსის ჯარი ბრძოლას არ მოერიდება.

„დეილი ნიუს“-ის კორესპონდენტი იუწყება სინმინტინიდან: მუკდენიდან მოსულმა ჩინელმა მოხელემ გვიამბო, რუსის ჯარი მუკდენიდან ჩრდილოეთისაკენ წავიდა. 18 ათასი კაცი მუკდენის აღმოსავლეთით დააყენესო. („ბ. ვ.“).

მუკდენიდან დეპეშით ატყობინებენ „რუს“-ს: რუსისა და იაპონიის ჯარი ტელინისაკენ აპირებს წასვლას, მაგრამ წვიმა ძლიერ უშლით ხელსაო.

ახალი ამბავი

◆ 31 აგვისტოს თავად-აზნაურთა თეატრის სადგომში კრება ჰქონდა **ქართულ წარმოდგენების გამმართველ ამხანაგობას.** დაესწრო 25 კაცამდე. კრებამ გაიცნო ხელშეკრულობის შინაარსი, ცოტაოდენის ცვლილებებით მიიღო და შემდეგ დამსწრეთ ხელი მოაწერეს. მერე კრებამ გამგე კომიტეტის წევრებად აარჩია 5 კაცი: თავ. ზ. ერისთავი, დ. დუმბაძე, ლევ. გაბაშვილი, ალ. ნანობაშვილი და ი. ცინცაძე. სარევიზიო კომისიის წევრებად—ბ-ნი კლდიაშვილი, პ. კიზირია და ბ. მუსხელაშვილი. სარეპერტუარო კომისიის წევრებად ს. ფირცხალავა, ქ. ყიფიანი და არ. მ. ახნაზაროვი.

◆ როგორც **პირაქეთ ხევსურეთიდან** გვატყობინებენ, ბარისახოს საზოგადოებაში ახოობის ხატობაში 21 აგვისტოს გუდამაყრის მცხოვრებმა ბერ დეკანოზმა ჰრელა ბეკაურმა წინააღმდეგობა გაუწია ადგილობრივ ბოქაულს ი. ოზიაშვილს და ადგილობრივ ბლაღოჩინს ი. ხატიაშვილს, რომელნიც უშლიდნენ ხევის ბერ-დეკანოზებს თავიანთებურად დამწყალობნებას.

◆ ტფილისის **სათავად-აზნაურო სასწავლებელში** მისაღები ეგზამენები დასრულდა. წელს მხოლოდ მოსამზადებელ კლასში იყო თავისუფალი ადგილები. მიიღეს 56 ყმაწვილი. გუშინ ახლად მიღებული ყმაწვილები ექიმებმა შეამოწმეს ჯანმრთელობის მხრივ. სწავლა ექვს სექტემბერს იწყება.

◆ დღეს, 2 სექტემბერს, თიანეთში მიემგზავრება ტფილისის **ოლქის სასამართლოს სესია.** სესია თიანეთში 8 სექტემბრამდე დაჰყოფს.

◆ **სახალხო წარმოდგენების სექციამ** რეჟისორად აარჩია ნიკოლოოზ ავალიშვილი. ბ-ნ ავალიშვილს უკვე განუცხადებია თანხმობა.

◆ ტფილისის საოსტატო ინსტიტუტში დასრულდა მისაღები ეგზამენები. წელს პირველ კლასში მიიღეს 30 კაცი; მათ [illegible] მხოლოდ ერთია ქართველი.

◆ ტფილისის სასულიერ[illegible] ქართულ ენის მასწავლე[illegible] სასულიერო სასწავლებლის ქართულ ენის მასწავლებელი ბ-ნი შ. შიუკაშვილი.

◆ ტფილისის საბაღოსნო სასწავლებელში მისაღები ეგზამენები დაიწყება 25 სექტემბერს და დასრულდება 29 სექტემბერს. უკანასკნელ კლასის მოსწავლეთა ეგზამენები სპეციალურ საგნებში მოხდება 15 და 30 სექტემბერს.

◆ როგორც გვწერდით, საბაღოსნო სკოლის მოსწავლენი, სკოლის მართველის ბ-ნ ხუნდაძის მეთაურობით, გაემგზავრნენ ქუთაისის გუბერნიაში საექსკურსიოდ. მე-2 კლასის მოწაფენი საქარის სანერგესა, ჩაქვას ჩაის პლანტაციებისა და ბათუმის დათვალიერების შემდეგ დაბრუნდნენ ტფილისს, ხოლო მესამე კლასის მოსწავლენი დარჩნენ სამის კვირით საუფლისწულო მამულის გასაცნობად სოფელს გაჭევში. მოსწავლეთ ხელმძღვანელობას უწევდა მამულის გამგე ბ-ნი მეგრელიძე. შემდეგ მოსწავლენი რამდენისამე დღით გაემგზავრნენ აჯამეთში ძმათა ანანოვების ევროპიულად მოწყობილ სასოფლო მეურნეობის გასაცნობად. მოსწავლენი 31 აგვისტოს [illegible]ბრუნდნენ ტფილისს.

◆ სოფ. დაგისლანში (ახალციხის მაზრა) [illegible]ლავთ მინდვრის მცველი ყურბან-ალტუნ-ოღლ[illegible] ეჭვი მიიტანეს იმავე სოფლის მცხოვრებ მოლა-სულეიმან-უსეინ-ოღლიზე.

◆ დიდუბის მახლობლად, ნიკოლოოზის ქუჩის ბოლოში, მიწა ჩანგრეულა და საშიშოა გამვლელ-გამომვლელთათვის. უბედურების ასაცილებლად პოლიციამ სთხოვა გუშინ ქალაქის გამგეობას, განკარგულება მოახდინოს ამ ადგილის შესასწორებლად.

◆ ტფილისის ვაჭარმა სტეფანე დოვლაროვმა განაცხადა პოლიციის მე-3 ნაწილში, რომ ჩემ მაღაზია გოლოვინის პროსპექტზე გაუქურდნიათ და 300 მანეთის საცვლები წაუღიათო. ქურდებს გაუტეხიათ უკანა კედელი, გასულან საცხოვრებელ სახლში, გაუტეხიათ ნივთების შკაფი და წაუღიათ ვერცხლის ნივთები.

დღევანდელ ნომერთან ერთად ხელის მომწერთ დაურიგდებათ **სურათებიანი დამატება № 250.** შინაარსი: „მღვდელ-მთავარი“ (გაგრძელება), ანტონ ჩეხოვისა, თარ. ი. გ—რის მიერ; სურათები: პორტ-არტურის დამცველნი—სტესელი და იმისი შტაბი, იაპონელი მეზღვაურნი უმასპინძლდებიან უცხოელ კორესპონდენტებს და ოთხი კარიკატურა.

რუსეთის ქრონიკა

◆ გზათა სამინისტროს გამგემ მიასოედოვ-ივანოვმა დაამტკიცა ახალი წესები რკინის გზებზე მოსამსახურეთა დასჯა-დაჯარიმების შესახებ. ამ წესებით, სახაზინო რკინის გზებზე მოსამსახურეთა დასჯა-დაჯარიმების უფლება ექნებათ იმ უფროსთ, რომლებმაც მიიღეს სამსახურში დამნაშავე მოხელენი, ან უახლოეს უფროსთ. კერძო რკინის გზებზე კი ეს უფლება ექნება გზის გამგეთ და უახლოეს უფროსთ. რკინის გზის იმ მოხელეთ, რომელნიც სახელმწიფო სამსახურში არ ითვლებიან, არ დასჯიან უმაღლესს ადგილიდან სხვა უფრო მცირე ადგილზე გადაყვანით.

◆ ზოგიერთ სახელოსნო გამგეობათ შუამდგომლობა აღუძრავთ შინაგან საქმეთა სამინისტროში იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქნას გამასწორებელი სახელოსნოები ხელოსანთა იმ შეგირდებისათვის, რომელთაც ქურდობა ან სხვა რამ დანაშაული ჩაუდენიათ.

◆ აფთიაქების გახსნის შესახებ ახალ შემუშავებულ პროექტით, რომელიც ამ მოკლე ხანში წარედგინება სახელმწიფო საბჭოს დასამტკიცებლად, უპირატესობა აფთიაქების გახსნაში საზოგადო დაწესებულებათ ექნებათ. მოსპობილია ძველი წესი, რომლის თანახმად 12 ათას მცხოვრებელზე 1 აფთიაქი უნდა ყოფილიყო და სხ.

◆ ვარშავის უნივერსიტეტისა და პოლიტეხნიურ სასწავლებლის სტუდენტებს გაუმართავთ ამხანაგობა და დაუარსებიათ ქაღალდისა და საწერ ხელ-საწყოს მაღაზია. ამხანაგობის თვითეულ წევრს ფული შეუტანია მაღაზიის გასახსნელად და საქმე კარგად მიჰყავთ თურმე. ამნაირად სტუდენტებმა ახალ საშუალებას მიმართეს დღიურ სარჩოს საშოვარად. საზოგადოება თანაგრძნობით მიჰგებებია ამ ახალ საქმეს და მუშტრები უკვე ბლომადა ჰყოლიათ სტუდენტებს, რომლებიც მორიგეობით მუშაობენ მაღაზიაში. ამხანაგობის თანხა—20 ათასი მანეთია, წევრთა რიცხვი—50-ა.

[illegible] ამოქვეყნებულია სტატ[illegible] [illegible]ში უძრავ მამ[illegible]

ვალიანების შესახებ. უკანასკნელ 17 წლის განმავლობაში მიწებისა და ქალაქის მამულების გირაოდ გაცემული სესხი ერთი სამად გადაქცეულა: 654 მილიონი მანეთი იყო და ახლა 2,336 მილიონია. მიწის კერძო მესაკუთრეთა ვალი, რუსეთში 1 იანვარს 1902 წელს 1,642 მილიონი მანეთი იყო.

ღამის დეპეშები

1 სექტემბერი

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშები, მის უდიდებულესობის სახელზე გამოგზავნილი, გენერალ-ლეიტენანტის სტესელისაგან: 1) ამ წლის 15 აგვისტოს თარიღით: „ბედნიერება მაქვს ვაუწყო თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას, რომ 14 აგვისტოს, ღამის სამ საათზე, საშინელის წვიმისა და ელვა-ქუხილის დროს იაპონელებმა [illegible] და ისევ მოიტანეს იერიში ჩვენს მარცხენა ფრთაზე, აგრეთვე ერთ სიმაგრეზე და უდიანჩანის მთაზე. იაპონელები ყველა ამ ადგილებიდან უკუ ვაგდეთ. ჩვენი ზარალი უმნიშვნელოა: მოგვიკლეს სამი ჯარის კაცი, დაგვიჭრეს ორი აფიცერი და 98 ჯარის კაცი. ყველა დაჭრილები საავადმყოფოში დავაწვინეთ და კარგი მოვლა აქვთ. დახოცილ იაპონელთა გვამებს ვკრეფავთ, მაგრამ მტერი არ გვაცლის ხოლმე და ჩვენს სანიტარებს ზარბაზნებს ესვრის, თუმცა ამათ წითელი ჯვრის დროშა აქვთ ამართული“. 2) ამა წლის 20 აგვისტოს თარიღით: „19 აგვისტოს, ღამე იაპონელებმა იერიში მოიტანეს ეგრედ წოდებულ მაღალ და გრძელ მთებზე და მახლობელ სიმაგრეებზე; ამავე დროს მტრის არტილერია ყუმბარებს უშენდა როგორც ხსენებულ მთებს, ისე სიმაგრეებს. ჩვენმა ჩასაფრებულმა დარაჯებმა მალე აღმოაჩინეს მოახლოვებულ მტრის მოწინავე რაზმები და სიმაგრეებიდან ზარბაზნები დავუშინეთ. ამავე დროს იაპონელთა ბატარეებსაც დავუშინეთ ყუმბარები. იაპონელთა რაზმი ამ დროს მოუვიდა იმ ადგილას, სადაც ნაღმები იყო ჩაწყობილი. მოხდა აფეთქება და ბევრი იაპონელი დაიღუპა. ერთის საათის შემდეგ იაპონელები უკუ ვაგდეთ. ჩვენი ზარალი სულ მცირეა: დაგვიჭრეს ერთი აფიცერი და 7 ჯარის კაცი. ბედნიერება მაქვს ყოველივე ეს მოვახსენო თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას“.

31 აგვისტო

ჯულფა. თეირანიდან მოსულ ხმებით, ამ ცოტა ხანში ინგლისის ელჩი თავრიზს წავა და იქიდან ურმიას, სადაც ჰფიქრობენ ინგლისის გიცე-საელჩოს დაწესებას.

სოფია. მთავრობის წრეები თანაგრძნობით მიეგებნენ ავსტრიის იმპერატორის მიერ მთავარფერდინანდის ოფიციალურად მიღებას.

მადრიდი. ასტურიის პროვინციაში მატარებლის გავლის დროს აფეთქება მოხდა. ცოტა მოშორებით ყუმბარა იპოვნეს.

ბელგრადი. მთავრობამ გადასწყვიტა არ მოიწვიოს საერო კრება და მხოლოდ დეპუტატები მოიწვიოს გვირგვინის კურთხევის დღესასწაულებში მონაწილეობის მისაღებად.

პეტერბურგი. 31 აგვისტოს პეტერბურგს მოვიდა საბერძნეთის პრინცი გიორგი გიორგის ძე და იმავე დღეს პეტერგოფს გაემგზავრა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ახალი წიგნი

„დაკარგული სამოთხე“

(პირველი ცოლქმრის ცხოვრება სამოთხეში)

ინგლისის შესანიშნავ მწერლის იოანე მილტონის თხზულება, თარგ. კ. ბ-ძე **ავაქოვისა**, სუფთად და რიგიანად გამოცემული, ფასი. 40 კაპ. ისყიდება: წ. კ. საზ.-სა, იოსებ იმედაშვილისა, „გუტენბერგისა“, გრიქუროვის წიგნთ-სავაჭროებში და სხ. უმთავრესი საწყობი მთარგმნელთან **ქ. სიღნაღში**. ვინც ნაღდზედ იყიდის არა ნაკლებ 10 წიგნისა, თითო წიგნი 30 კაპ. დაეთმობა, გაგზავნის ხარჯი ჩვენია. ადრესი: ქ. სიღნაღში გ. ბ. ავაქოვს. (3—2)

СѢДЕЛЬН. СПЕЦІЯЛЬН.

Безъ конкуренціи

продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ. სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიის ახლოს. (ჭ.—176—86)

მოიკითხეთ

ძმ. გ. და მ. ფრიდონოვების

უდიდესი ხილეულობის

სანერგე.

სადგური სკრა. იყიდება საუკეთესო ჯიშის ნერგები. მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ: М. Е. Придонову, Тифлисъ, Сергіевская ул., № 11 и Сельск.-Хозяйст. Т-во «Колхида»— Кутаисъ. მალე დაიბეჭდება ქართულად კატალოგები, რომელიც მსურველთ უფასოდ გაეგზავნება. (10—280—4)

ახალი გახსნილი

სასტუმრო **არკადია** ნომრები

(ყოფილი „იალტა“)

მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქრომჭედლების ქუჩ. კუთხეში. სადილი ორი თავით, ჭიქა არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 45 კ. უასხმელებოთ და უყავოთ 30 და 20 კ., ღვინო ბოთლი 25 კ. და ძვირფასიც. თვიურად იაფად და ეძლევათ აბონემენტები. სადილი 11—5 საათ. დილით და 5—12 ს. საღ. (88—52—49)

სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

ბუხჰალტერი-სპეციალისტი

(წელიწადი მეორე)

ამზადებს წელს ბევრად გადიდებულ პროგრამით როგორც ვაჟებს, ისე ქალებს თეორიულად და პრაქტიკულად ორმაგ იტალიანურ და მარტივ ბუხჰალტერიასა, საზოგადო სავაჭროსა და ბანკისასა, კომერციულ არითმეტიკასა, ფინანსიურ გამოანგარიშებასა, არითმეტიკას საანგარიშო ჩოთქით, კომერციულ კორესპონდენციასა, ვაჭრობის ისტორიასა, ვაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებში.

(ბანკის ბუხჰალტერია და ვაჭრობის ისტორია მსურველთათვის)

სწავლა ყოველ დღე საღამოს 5-დან 7 საათამდე, უქმეების გარდა. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გაათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მთელი კურსისა 60 მან. სწავლა დაიწყება ენკენისთვის 10-ს 1904 წ.

ადრესი: ტფილისი, ალ. გ. **საათაშვილს**, მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 17, მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად ყოველ დღე საღამოს 4-დან 9 საათამდის, კვირა-უქმეობით-კი დილის 9-დან 1 საათამდის და საღამოს 4-დან 9 საათამდის.

ვამზადებ ზემო აღნიშნულ საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც საღამოს 8-დან 9-საათამდის შეეძლებათ სწავლა და ამასთანვე თუ ბუხჰალტერიის შესასწავლად დასჭირდებათ საზოგადო არითმეტიკაშიაც. სწავლა გასტანს რვა თვეს. ფასი მორიგებით და შეღავათიანად. სწავლის გათავების შემდეგ ატტესტატი მიეცემათ.

(15—253—13) ალ. გ. საათაშვილი.

ტრიოხგორნი ლუდხანის ამხანაგობა მოსკოვში

ყოველ დღე ამზადებს 3.500,000 ვედრა საუკეთესო ხარისხის ლუდს, რომელიც დაჯილდოვებულ იქმნა სახელმწიფო გერბით 1882 და 1896 წ. წ. გამოფენაზე. ამხანაგობა ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ განიზრახა ყოველ დღე მიაწოდოს ადგილობრივ მომხმარებელთ ახლად ადამზადებული ლუდი რაც შეიძლება ნაკლებ ფასად და ამიტომ დააწესა ლუდის გამოგზავნა ტფილისში საკუთარ საყინულე-ვაგონებით. ტფილისში ნარდათ სავაჭრო ცენტრალური საწყობი ურჩევს მსურველთ იყიდონ ხოლმე უმაღლეს ხარისხის ლუდი:

სუფრაზე სასმარებელი (თეთრი) დაწესებ. ფასი მაღაზ. 15 კაპ. ბოთლი (1/20) ვეჭურჭლოდ.
კულმბახის (შავი) „ „ „ 16 „ „ „ „

ბოთლები ფირმისა სახელმწიფო გერბით არის, კაპსიულებით. ცენტრალურ საწყობის კანტორა თავის თავზე იღებს ლუდის სახლში მიტანას: სუფრაზე სასმარებლისა 14 კაპ. [illegible] კულმბახისა 15 კაპ. ბოთლი (1/2 ვედრისა), [illegible]

ადრესი: პუშკინის ქუჩა, № 11, [illegible] № 1013.

[illegible] გარეშე მყიდველთ, [illegible] სისტემით დაწმენ- (ექსპორტ) და [illegible] (50—35—43)

გენერალნოე ობშჩესტვო

(Генеральное общество)

სიცოცხლის და სიკვდილამდის შემოსავალთა დაზღვევისა

აძლევს დამზღვევთ:

1) შეურყეველ გარანტიას, რომ უზრუნველჰყოფს ყველა ნაკისრ მოვალეობას; ამ გარანტიას წარმოადგენს: ა) საზოგადოების ძირითადი თანხა სამი მილიონი მანათისა (3.000.000), ბ) სათადარიგო თანხა, რომელიც სდგება საზოგადოების წმინდა მოგებიდან 10% გადადებით და გ) პრემიების სრულის სათადარიგო ჯამისაგან, რომელიც ინახება, მთავრობის ფაქტიურ კონტროლით, თანახმად 1898 წ. 11 მაისის კანონისა;

2) სრულს ხელუხლებლობას პოლისებისას და ყველა იმ ფულისას, რომელიც დამზღვევს საზოგადოებიდან ერგება, არესტისაგან, გადაცემისაგან და სხვა;

3) უსათუოდ უცილებლობას პოლისებისას დაზღვევიდან 1 წლის შემდეგ.

4) პოლისების დაურღვევლობა დაზღვევიდან 3 წლის შემდეგ, ესე იგი, სამის წლის შემდეგ დამზღვევს ნება აქვს, თუ ჰსურს, შეაჩეროს გადასახადის შეტანა საზოგადოებაში და მიუხედავად ამისა, დარჩეს დაზღვეულად ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად;

5) პასუხის გებას, თუ დაზღვეულმა თავი მოიკლა.

6) მოგზაურობის სრულს თავისუფლებას;

7) სამსახურისა და პროფესიის სრულს თავისუფლებას;

8) პრემიების სიიაფეს;

9) განთავისუფლებას გადასახადებიდან, რომელიც საჭიროა პოლისების დასამზადებლად და აგრეთვე საგერბო გადასახადებისაგან;

10) უფლებას დაზღვევისათვის გადასახადის თვიურად შემოტანისას;

11, საზოგადოების მოგებაში მონაწილეობის ნებას იმის მიხედვით, თუ რამდენი ექნება დამზღვევს შეტანილი პრემია;

12) სესხს იმ პოლისების გირაოთი, რომელთაც 3 წლის განმავლობაში ძალა ჰქონდათ; სესხი გაიცემა 6%-ით;

13) უფლებას შეაჩეროს დროებით დაზღვევა და შემდეგ, თავისავე სურვილის თანახმად, კვლავ აღადგინოს იგი;

14) სამის თვის შეღავათს სავადო პრემიის გადასახდელად და სხვ...

საზოგადოების **გამგეობა** იმყოფება პეტერბურგს, ნევსკი პრ., 23. **ამიერ-კავკასიის ოლქის მმართველობა** ტფილისშია, გოლოვინის პრ., ოქროევის სახლი, ტელეფონი № 429.

აგენტები არიან ოლქის ყველა უმთავრეს ადგილებში. (100—41)

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. პალიზენ

რჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბათომ**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი, საკანცელარიო საგნების **ტელეფონი** № 679. (0—157)

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟ.-ნოვგოროდი.

კალოშებისა

და რეზინის სხვა საქონლისათვის

უდიდესი ჯილდო

(Grand prix)

პარიზის გამოფენაზე

მიენიჭა რუსეთში მხოლოდ

ამხანაგობას

რუსეთ-ამერიკის

რეზინის მანუფაქტურისას

ს.-პეტერბურგში,

დაარსებულს 1860 წელს

რეზინის კალოშების ყიდვის დროს სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვას „С.-Петербургъ“ წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანია).

ნარდათ ვაჭრობას აწარმოებს სავაჭრო სახლი

„ლეოპოლდ ნეიშელლერი“

პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკსა, ტაშკენტში. და ტფილისს

(80—28)

ს სტამბა „წიგნების გამომც. ქართ. ამხ-სა.“ Груз. Изд. Т-ва